სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

13 / იანვარი / 2025 წ.

KARR0106587845524

№ **03/9**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოს

თქვენი 2024 წლის 13 დეკემბრის N6/71524 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დაკვეთით შპს ,,თავისუფალი ექსპერტები“ საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2023 წლის 3 ნოემბრის N147-2023 (კონკურსი CNT230000071) ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის საპროექტო სამუშაოებს.

სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის (მონახაზი) მიხედვით, რომელიც დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს N60 განკარგულებით, მიწის ნაკვეთი ს/კ N71.56.46.313 მოქცეულია სივრცით კატეგორიაში “სასოფლო-სამეურნეო სივრცე”, წარმოადგენს დაუსახლებელ არეალს, რომლის გამოყენება დასაშვებია შესაბამისი ტერიტორიის ფუნქციით განპირობებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის, სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთს კვეთს ხაზობრივი ნაგებობა (გაზმომარაგების ქსელი).

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს. ამავე მუხლის მეორე პუნქტის “ნ” ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, კონკრეტული სამშენებლო ნებართვის თაობაზე, საჭიროა მიმართოთ მუნიციპალიტეტს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

იოანე მენაბდე